



სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ტარიელ ლელუაშვილის

საბაკალავრო ნაშრომი თემაზე:

**ისტორიული იესოს შესახებ კვლევა  
განმანათლებლობიდან დღემდე**

*ნაშრომი წარმოდგენილია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრო თეოლოგიაში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი გოჩა ბარნოვი

თბილისი

2020

## სარჩევი

რეზიუმე .....	3
შესავალი .....	3
პირველი ეტაპი: იესოს ცხოვრების კვლევა .....	5
მეორე ეტაპი: კერიგმისკენ შემობრუნება (1906-1953) .....	11
ავთენტურობის კრიტერიუმები .....	13
მესამე ეტაპი: კვლევის განახლება (1953–1985) .....	16
ახალი კვლევა .....	19
სიორენ კირკეგორი: რწმენისა და ისტორიის ურთიერთმიმართება .....	20
ისტორიული იესოს შესახებ კვლევის შედეგები .....	24
დასკვნა .....	28
გამოყენებული ლიტერატურა .....	31

## რეზიუმე

„ისტორიული იესოს ძიება“ გასული ორი საუკუნის განმავლობაში დასავლური ღვთისმეტყველების მთავარი საზრუნავი იყო, რომელმაც შთანთქა აურაცხელი დრო და ენერგია. სამეცნიერო და თეოლოგიურ გამოკვლევებს მიეძღვნა წიგნებისა და სტატიების მთელი წყება; გაჩნდა ახალი დისციპლინა, რომელმაც წამოაყენა საკითხები ისტორიის, ფილოსოფიისა და სისტემატური თეოლოგიისათვის, რომლებიც პრობლემურია და მოითხოვს პასუხებს არამხოლოდ აკადემიურ წრეებში, არამედ მორწმუნეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. წინამდებარე ნაშრომის მიზანია მოკლედ მიმოვიხილოთ ისტორიული იესოს შესახებ კვლევის სამი ძირითადი ეტაპი მათთვის დამახასიათებელი მიდგომებითა და მეთოდოლოგიით, რომლებიც იცვლებოდა და ვითარდებოდა ახალი მკვლევარების გამოჩენისთანავე. საკითხი ბუნებრივად ბადებს კითხვას რწმენისა და ისტორიული ობიექტურობის ურთიერთმიმართების შესახებ, რასაც სიორენ კირკეგორი საინტერესოდ უპასუხებს, ხოლო ნაშრომი კვლევების შედეგების მიმოხილვით შეაჯამებს იესო ქრისტეს რწმენისა და ისტორიის სახეებს, როგორც ერთ პიროვნებას - მეტად სარწმუნოს, ვიდრე რწმენის პროექციაა, ანდა ისტორიული ნაშენი.

## შესავალი

იესო ქრისტეს გარშემო არსებული ინტერესი, კვლევები, კამათი და განხეთქილებები ერთი შეხედვით ბუნებრივადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, თუკი ხელახლა გავიაზრებთ მისი, როგორც ისტორიული ფიგურის მნიშვნელობას, რომლისგანაც წარმოიშვა მსოფლიოში უდიდესი მასშტაბის რელიგია და რომელმაც დიდწილად განსაზღვრა დასავლეთის ისტორია და კულტურა. ალბათ, მისი ასეთი გავლენა იყო მიზეზი, რამაც დათრგუნა ისტორიულობის შესახებ დასმული ყველა კითხვა, რადგან მათში ქრისტიანთა უმრავლესობისთვის იყო რაღაც შეურაცხმყოფელი და მკრეხელურიც კი. ამგვარი მრისხანე კრძალულების რღვევა დაიწყო „იესოს შესახებ ისტორიულ ძიებაში“, რომელმაც დაძლია იესოს პორტრეტები, როგორც

„პანტოკრატორის“ და „საყოველთაო მსაჯულისა“ ბიზანტიურ და რენესანსულ იკონოგრაფიებში. გაჩნდა იესოზე მეტის გაგების იმპულსი, რომელიც არ იქნებოდა ჰერმენევტიკული წინაგაგებით დადღასმული, არამედ პიეტიზმის გარეშე, ისტორიის მსვლელობაში დაუახლოვდებოდა და გამოიკვლევდა იესოს მიწიერ რეალობას. ამგვარად, ბოლო ორასი წლის განმავლობაში შეიცვალა კვლევის ხასიათი და დაისვა კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად ვალიდურია ეკლესიის კონცეფცია ისტორიულ იესოსთან მიმართებაში. ინტერპრეტატორთა უმრავლესობისთვის, ქრისტიანობის საფუძვლიანად ინტეგრირებიდან, ვიდრე განმანათლებლობის პერიოდამდე, რეალური სამყარო იდენტიფიცირდებოდა სამყაროსთან, რომელიც ბიბლიური თხრობის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაში გაერთიანებით შეიქმნა. ამრიგად, არავითარი განსხვავება არ მომხდარა ისტორიულ იესოსა და რწმენის ქრისტეს შორის.

განმანათლებლობამ ფართო ცვლილებები მოიტანა მსოფლიოში და რელიგიური კვლევები ამ მხრივ, არ ყოფილა გამონაკლისი: ყველაფერი, იესოც კი, დაემორჩილა კრიტიკულ კვლევასა და შემოწმებას. იესოს შესახებ კვლევებისა და ქრისტოლოგიის ამჟამინდელი მდგომარეობა სწორედ აზროვნების ამ ფუნდამენტურ ცვლილებაში შეიძლება განვითარებულიყო და დასმულიყო კითხვები, თუ რამდენად გონივრულია ერთ ისტორიულ მონაცემზე მთელი ადამიანური ეგზისტენციის დაფუძნება; ხომ არ იყო ქრისტიანთა ერთგვარი კადნიერება, ერთი ცალკეული ფიგურის ისტორიის განმსაზღვრელ ცენტრად მიჩნევა, რომელიც დროსთან ერთად გაჩენილი მზარდი დისტანციის შედეგად, სულ უფრო მეტად იკარგებოდა წარსულის ბურუსში. განმანათლებლობის ეპოქამდე, რელიგიური ინტერესი ავითარებდა თეოლოგიის შიდა სააზროვნო სფეროს, ვინაიდან ითვლებოდა, რომ ახალ აღთქმაში მოცემული ცნობები იესოს შესახებ იყო ისტორიულად ზუსტი, ხოლო ოთხი სახარება განზრახ დაიწერა ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმითა და გარკვეული კვეთებით, რათა ხაზი გაესვა ქრისტეს მსახურების მრავალი ასპექტისთვის.<sup>1</sup> ინტერპრეტაციის მოწესრიგებაში კი, ეკლესია წარმოადგენდა უზენაეს ავტორიტეტს. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, გამოჩნდნენ განმანათლებლობასთან ასოცირებული მოაზროვნეები (ძირითადად გერმანიიდან), რომლებმაც დაიწყეს ბიბლიის განხილვა ისე, როგორც ნებისმიერი სხვა

---

<sup>1</sup> Calvin J., A harmony of the Gospels Matthew, Mark and Luke. Grand Rapids: Eerdmans, 1994.

ისტორიული დოკუმენტისა და ცდილობდნენ რელიგიისა და სოციალური ცხოვრების განმეორებით განსაზღვრას. მათ დადებითად უპასუხეს თანამედროვე მეცნიერების აღზევებას, ხოლო - უარყოფითად რელიგიურ ომებს, რომლებიც რეფორმაციას მოჰყვა. მოაზროვნეთა შორის რადიკალური მიდგომებით მატერიალისტები და ათეისტები გამოირჩეოდნენ, სხვები კი, განსაკუთრებით ისინი, ვინც დეიზმთან იყვნენ მჭიდრო კავშირში, ცდილობდნენ რწმენისა და მეცნიერების დაზავებას. ამ უკანასკნელთა წრესთან იყო დაკავშირებული ჰამბურგელი სწავლული - ჰერმან სამუელ რაიმარუსი (1694-1768)<sup>2</sup>, რომელიც განიხილება, როგორც იესოს თანამედროვე, კრიტიკული შესწავლის საწყისი წერტილი იმის გამო, რომ არაფერი არსებითად განსხვავებული, რაც ჩვიდმეტი საუკუნის განმავლობაში ეკლესიის მიერ იყო შეწყნარებული, არ გამოქვეყნებულა მის ნაწერებამდე. თანამედროვე თეოლოგთა შორის, იესოს ისტორიულობის შესახებ ისტორიულ-კრიტიკული კვლევის სამ ეტაპზეა საუბარი: პირველი, იესოს ცხოვრების კვლევა; მეორე, კვლევის სკეპტიკური პერიოდი, რომლის დროსაც კერიგმული თეოლოგიისაკენ დაბრუნება მოხდა (კვლევის შეჩერების პერიოდი) და მესამე, კვლევის განახლება.<sup>3</sup>

### პირველი ეტაპი: იესოს ცხოვრების კვლევა<sup>4</sup>

კვლევის პირველი ეტაპი თარიღდება 1778 წლით, როდესაც გერმანელმა მწერალმა და განმანათლებელმა გოტჰოლდ ე. ლესინგმა გამოაქვეყნა ჰერმან სამუელ რაიმარუსის ანონიმური ფრაგმენტები.<sup>5</sup> სტატიაში „იესოსა და მისი მოწაფეების განზრახვის შესახებ“ იესო წარმოდგენილი იყო, როგორც ღვთისმოსავი ებრაელი, რომელიც მიუძღოდა

<sup>2</sup> The Historical Jesus: Then and Now <<https://reflections.yale.edu>> [5.06.2020]

<sup>3</sup> ვარდიძე ვ., ფუნდამენტური თეოლოგია, ნაწილი მეორე. სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 200.

<sup>4</sup> იესოს ბიოგრაფიის რეკონსტრუქციის მცდელობა ცნობილია, როგორც „ისტორიული იესოს პირველი ძიება“. ტერმინი დამკვიდრდა ა. შვაიცერის წიგნის სათაურიდან: „ისტორიული იესოს ძიება: მისი განვითარების კრიტიკული შესწავლა...“ ინგ. „Quest of the Historical Jesus: A Critical Study of Its Progress from Reimarus to Wrede“.

<sup>5</sup> რაიმარუსის ხელნაწერები არ გამოქვეყნებულა მის სიცოცხლეში, მოიაზრებოდა რა, როგორც საფრთხის შემცველი რწმენისათვის. მასზე წვდომა მხოლოდ ვიწრო წრეს გააჩნდა, რომელთა შორისაც იყო ე. ლესინგი.

ისრაელს მონანიებისკენ, რათა დაეარსებინა ღვთის სამეფო დედამიწაზე. თავდაპირველად მას არ განუზრახავს ახალი სწავლების შემოღება, თუმცა დროის მსვლელობასთან ერთად, იგი უფრო და უფრო ფანატიკურად შეპყრობილი ხდება იდეისგან, რომ მოწამეობრივი სიკვდილის მეშვეობით ღვთის მარჯვნივ დაბრძანდებოდა. თუმცა, მან ამ გამოანგარიშებაში შეცდომა დაუშვა, მოისურვა რა რჯულის რეფორმა, რის გამოც მღვდელმთავრები სასიკვდილოდ გადაიმტერა. მისი რწმენა ღმერთისა და საკუთარი თავის მიმართ, წარუმატებელი აღმოჩნდა - ის კვდება იმედგაცრუებული ღმერთისაგან, რომელმაც ის მიატოვა. ქრისტიანობა შესაძლოა ასეც დასრულებულიყო რომ არა მოციქულების ეშმაკობა, გამოსულიყვნენ საქადაგებლად და განეცხადებინათ, რომ იესო მკვდრეთით აღდგა და იგი დაბრუნდებოდა დაპირებული სამეფოს დასაარსებლად. ამრიგად, ესქატოლოგია წარმოადგენს იესოსა და მისი მოწაფეების გაგების გასაღებს, მაგრამ ის ორივე შემთხვევაში მცდარია. იესოს შეცდომით სჯეროდა, რომ ღმერთი თავის სამეფოს მისი მეშვეობით დაამყარებდა, ხოლო მოწაფეები დამნაშავენი იყვნენ მომავალი სამეფოს ცრუ მოლოდინების გამყარებაში, რამაც მათ, როგორც მის მახარებლებს, ავტორიტეტი შესძინა. შესაბამისად, მათ მიერ წერილებში გადმოცემული ქრისტე განსხვავდება ნამდვილად არსებული იესოსგან, ანუ ისტორიის იესო და რწმენის ქრისტე არ არის ერთი და იგივე პიროვნება. რაიმარუსი თავის ახლებურ თეზისში ეკლესიას განიხილავდა, როგორც მცდარ ინტერპრეტატორს, რომლის პირველ წევრთა (მოციქულთა) არასწორი სწავლებითაც აიხსნება ბიბლიის შიდა წინააღმდეგობრიობა. ეს უკანასკნელი კი, ყველაზე ცხადად, იესოს მოღვაწეობასა და აღდგომის რწმენას შორის წარმოჩნდება. ამგვარად, ეკლესიის მიერ გამოცხადებული, დოგმატური იესო იყო ისტორიული ფაბრიკაცია, რომელიც უნდა უკუგდებულიყო და მომხდარიყო მისი ჩანაცვლება რაციონალური, „ბუნებრივი რელიგიით“, რომელიც იქნებოდა რეალური სარგებლის მომტანი კაცობრიობისთვის.<sup>6</sup>

ბიბლიური წყაროების მიმართ გამოყენებული მაღალი კრიტიციზმი, ერთგვარ თანამედროვე სამეცნიერო მეთოდად ჩამოყალიბდა, რაც შემოდგომში აირეკლა ლიბერალური თეოლოგიის მიდგომებში, რომელიც უარყოფდა ეკლესიის ტრადიციულ

---

<sup>6</sup> Reimarus H. S., *Fragments From Reimarus: Consisting of Brief Critical Remarks On the Object of Jesus and His Disciples As Seen in the New Testament*. London, Williams and Norgate, 1879, 60-270.

რწმენასა და მიდგომებს.<sup>7</sup> ამგვარი სამეცნიერო თვალსაზრისით გამოითქვა მოსაზრება, რომ იუდეველთა რელიგია ეხებოდა მხოლოდ საკუთარ ისტორიულ და კულტურულ კონტექსტს, რომელიც არ იყო შესაბამისი იესოს ქრისტიანულ თაყვანისცემასთან. იესო წარმოადგენდა „ბუნებრივ რელიგიას“ რომელიც მომდინარეობდა ადამიანის გონებიდან და ეთიკური მონოთეიზმის ლიბერალურ თეოლოგიას დაუკავშირდა. ამგვარად, აქცენტი გაკეთდა იესოს შიდა ცხოვრებაზე და ჩამოშორდა ზებუნებრივი ელემენტები, რომლებიც ვერ იქნებოდა აღიარებული სამეცნიერო მტკიცებულებებით. აღნიშნულმა ფრაგმენტმა უამრავი გამოხმაურება გამოიწვია.<sup>8</sup> აღსანიშნავია, რომ ლესინგი სრულად არ იზიარებდა ფრაგმენტის შინაარსს, არამედ გამოხატავდა განმანათლებლობის ხანის მიმართ ნდობას და ცდილობდა რელიგიის გათავისუფლებას ისტორიისგან იმის მტკიცებით, რომ შეუძლებელია ისტორიაში რაიმეს წარმოჩენა ეჭვის გარეშე. თუკი შეუძლებელია რაიმე ისტორიული ჭეშმარიტების წარმოჩენა, მაშინ არაფერი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ისტორიული ჭეშმარიტების მნიშვნელობით.<sup>9</sup> ეს არის განმანათლებლობის აზროვნების კარგი მაგალითი, რომ არავითარი ვარაუდი არ შეიძლება იქნას ამოღებული ადამიანის გონისმიერი კონტროლიდან. ასეთი აზრი თავისთავად შობს რწმენისა და მიწიერი რეალობების განცალკევებას, როგორც წინააღმდეგობრივსა და ერთმანეთთან შეუთავსებელს. ამრიგად, პრობლემა მოიცავს ხორცსა და ლოგოს შორის შერიგების სირთულეს, ესე იგი შერიგებას იესოს ისტორიულ-კულტურულ განზომილებასა და მის უნივერსალურ, ტრანსცენდენტურ ფიგურას შორის. ლესინგისთვის, იესო იყო მხოლოდ კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი განმანათლებელი, „პირველი სანდო და პრაქტიკული მოძღვარი სულის უკვდავების შესახებ.“<sup>10</sup> თუმცა, იესოს ასეთი აღიარება მისთვის არ აღმოჩნდა საკმარისი ისტორიული ჭეშმარიტებიდან მეტაფიზიკური ჭეშმარიტებისკენ გაეკეთებინა „ნახტომი“, რასაც უკიდურესი სინანულით აღნიშნავს: „ეს არის ამაზრზენად ფართო თხრილი, რომლის გადალახვა არ შემიძლია, თუმცა არაერთხელ გულმოდგინედ ვცადე ნახტომის გაკეთება. თუ ვინმეს შეუძლია ჩემი

<sup>7</sup> Wright N.T., Bird M. F., The New Testament in its World. 2019, 2.

<sup>8</sup> მათგან განსაკუთრებით ანგარიშგასაწევი იყო გერმანელი ბიბლიის მკვლევარი და ლიბერალური თეოლოგიის დამაარსებელი იოჰან სალომო სემლერი (1725-1791), რომლის პასუხიც იყო ნააზრევის სიტყვა-სიტყვითი უარყოფა.

<sup>9</sup> Lessing G. E., Über den Beweis des Geistes und der Kraft, (1777). წიგნში: Erziehung des Menschengeschlechts und andere Schriften. Stuttgart: Reclam, 1969, 34.

<sup>10</sup> Lessing G. E., The Education of the Human Race, 1780, 92.

დახმარება, დამეხმაროს; მე ვთხოვ მას, მე ვაფიცებ. იგი ჩემ გამო, ღვთისაგან მიიღებს გასამრჯელოს“.<sup>11</sup> ამ ვედრებას, სიორენ კირკვეგორი მკვახედ უპასუხებს, როგორც ქვემოთ ვნახავთ. იესოს ცხოვრების კვლევა რაიმარუსის შემდეგ, მიჰყვება სახარებებში ნახსენები სასწაულებრივი მოვლენების ისტორიულ და რაციონალურ ახსნის გზებს, რომლებიც სხვადასხვაგვარი შედეგებით XIX საუკუნის კვლევებში დომინირებენ.<sup>12</sup>

XVIII საუკუნის ბოლო პერიოდი განსაკუთრებით მოწმობს იესოს შესახებ მზარდ კვლევებზე.<sup>13</sup> სახარებების პოზიტივისტური კვლევების შედეგად ჩამოყალიბდა იესოს ბიოგრაფია, რომელიც ემყარება მხოლოდ ისტორიულ ფაქტებს, მისი თეოლოგიური ხატის გარეშე.<sup>14</sup> იესოს შესახებ ამგვარ პროვოკაციულ აზრთა მრავალფეროვნებას განსაკუთრებული სტიმული შესძინა დავიდ ფრიდრიხ შტრაუსმა წიგნში „კრიტიკულად გამოკვლეული იესოს ცხოვრება“ (1835–36). შტრაუსი უარყოფს როგორც ორთოდოქსულ სუპერნატურალიზმს, ისე მოვლენების რაციონალური ახსნა-განმარტებებით ისტორიული საფუძვლების გადარჩენის მცდელობებს. მისი აზრით, ვერც ერთმა მიდგომამ ვერ გაითვალისწინა მითოლოგიების ტენდენციები რელიგიაში, რომლებიც არსებობდნენ სახარებისეული ისტორიების სამსახურში, ვიდრე მათი ჩაწერა მოხდებოდა. შტრაუსმა მიიღო იესოს ცხოვრების ძირითადი ისტორიული ჩარჩო, როგორც იყო ნაზარეთში გაზრდა, იოანე ნათლისმცემლის მიერ მონათვლა, მოწაფეთა მოწოდება, ქადაგება და ფარისევლებთან დაპირისპირება; ხალხის მოწოდება მესიანურ სამეფოში, ბოლოს ფიზიკური მარცხი და ჯვარზე სიკვდილი. ამდენად, ამ მონახაზს საფუძველი ჩაეყარა ადრეული ეკლესიის შემოქმედებით წარმოსახვაში, რომელიც იესოსთან დაკავშირებულ მოვლენათა თანმიმდევრობას განმარტავდა, როგორც წინასწარმეტყველებათა

---

<sup>11</sup> Lessing G. E., On the proof of the spirit and of power (Über den Beweis des Geistes und der Kraft) 1777. In Philosophical and Theological Writings, translated and edited by H. B. Nisbet, Cambridge University Press 2005, 83-85.

<sup>12</sup> ჰაინრიხ პაულუსი წიგნში „იესოს ცხოვრება, როგორც ადრეული ქრისტიანობის სუფთა საფუძველი“ (1828) ამტკიცებდა, რომ ისტორიები სასწაულების შესახებ, ექვემდებარებოდა რაციონალურ განმარტებას. მაგ.: იესო ჯვრიდან მის სიკვდილამდე ჩამოხსნეს და გონს მოვიდა ცივ სამარხში. სწორედ ამის შემდეგ მოიშორა დაკრძალვის სახვევი და მეზღის ტანსაცმელი იპოვა, რითაც აიხსნება მარიამ მაგდალინელის შეცდომა მის ამოცნობაში და ა.შ.

<sup>13</sup> მათ შორის აღსანიშნავია ფრიდრიხ შლაიერმახერი (1768–1834), რომელმაც ხელახლა შეაფასა იესო საკუთარი ფილოსოფიური თეოლოგიის გათვალისწინებით, რომელიც ეყრდნობოდა რელიგიური გამოცდილების ანალიზს. რელიგიური გამოცდილების არსი იყო ღვთისადმი სრული დამოკიდებულების განცდა. იესო იყო ადამიანი, რომელშიც ღვთისადმი ამგვარი დამოკიდებულება უნიკალურად იყო აღბეჭდილი და გამოვლენილი, როგორც ღმერთის არსებობა ადამიანურ ბუნებაში.

<sup>14</sup> Gnllka J., Jesus von Nazaret. Botschaft und Geschichte (Freiburg im. Br.: Herder, 1990); Jesus of Nazaret: Message and history, Hendrickson, 1997.



შესრულებას. ეს მესიანური მოლოდინი კი წინასწარ განსაზღვრავდა, რომ მესიამ უნდა მოახდინოს სასწაულები და იმოქმედოს ახალი მოსესა და დავითის მსგავსად. მას შემდეგ, რაც იესომ იუდაიზმის ესქატოლოგიურად დამუხტულ ატმოსფეროში მესიის რეპუტაცია მიიღო, ამ რწმენამ შექმნა კიდევ მითები და ლეგენდები მის შესახებ. ამგვარად გადაიქცა ეკლესიის შემცდარი მორწმუნეების მეშვეობით ისტორიული იესო ღვთაებრივ მესიად. შრომის დასასრულს, შტრაუსი ცდილობდა ქრისტიანული რწმენის ძირითადი ქეშმარიტების გადარჩენას ჰეგელის ფილოსოფიისაკენ მიმართვით, რომელიც ასწავლიდა, რომ რეალობა უსასრულო სულის გამოვლინებაა სასრულში. ქრისტიანობა იყო სიმბოლური წარმოდგენა ზოგადი ქეშმარიტებისა, დაკავშირებული ცხოვრების ტრანსფორმაციასთან აბსოლუტური სულის მეშვეობით. იესოს ინკარნაცია იყო მითოლოგიური სიმბოლო ღვთაებრივი მანიფესტაციისა ზოგადად კაცობრიობაში, რომელსაც საყოველთაო ხასიათი უნდა ჰქონოდა, როგორც ჰუმანურ და არა ქრისტიანულ რელიგიაში.<sup>15</sup>

ავტორებმა, როგორებიც იყვნენ შტრაუსი, ჰოლცმანი, რიჩლი და ჰარნაკი, მოახდინეს ტრადიციული ღვთისმეტყველების რეკონსტრუქცია, მიაღწიეს მნიშვნელოვან განსხვავებულ დასკვნებს და ამით აძლიერებდნენ მიმდინარე კვლევების ხანძარს.<sup>16</sup> მთელი ეს საქმიანობა, რომელიც ცდილობს ეკლესიის რწმენისა და ტრადიციის მიღმა წასვლას, დაგმობილია მარტინ კელერის (1835-1912) მიერ. წიგნში „ე.წ. ისტორიული იესო და ისტორიული ბიბლიური ქრისტე“ ის გმობს რწმენის ჩამოყალიბების მცდელობას ისტორიული კვლევის მეშვეობით, საიმედო ისტორიული წყაროების არ არსებობის გამო. ამგვარი „მკითხაობა“, როგორც ქრისტეს წარმოსახვითი რეკონსტრუქციის მცდელობა, ემსახურება მხოლოდ იესოს დაშორებას მორწმუნეთა მიერ თაყვანცემული ქრისტესაგან. იესო, რომელმაც გავლენა მოახდინა ისტორიის მიმდინარეობაზე, არის ქრისტე, რომელსაც ქადაგებენ, ანუ რწმენის ქრისტე.<sup>17</sup>

ამას მოჰყვა 1901 წელს გამოქვეყნებული ორი განსხვავებული პუბლიკაცია, რომლებმაც ზემოაღნიშნული კვლევების დასრულების შესახებ განაცხადეს. ალბერტ

<sup>15</sup> Strauss D. F. Das Leben Jesu kritisch bearbeitet, (The Life of Jesus Critically Examined) 2 vol. 1835–36.

<sup>16</sup> Strauss, Life of Jesus (1835); Holtzmann, Evangelien (1863); Ritschl, Retrospect (1959) ; Harnack, Christianity (1900).

<sup>17</sup> Kähler M., The So-Called Historical Jesus and the Historic Biblical Christ. Translated by Carl E. Braaten. Philadelphia: Fortress, 1964. 46-48.

შვაიცერის „ღვთის სამეფოს საიდუმლო“ ამტკიცებდა, რომ იესოს მესიანური მისია არსებითად ესქატოლოგიური ხასიათისა იყო, რომ მისი მოქმედებები მიმართული იყო სამყაროს დასასრულისა და ახალი სულიერი სამეფოს წარმოქმნისკენ. შვაიცერის თანახმად, ქრისტე დარწმუნებული იყო, რომ ღვთის სასუფევლი მოვიდოდა მისსავე დღეებში და რომ ის იქნებოდა ამის მაუწყებელი. ქრისტეს დღეებში ღვთის სასუფევლის მყისიერი მოსვლის იმედის გაცრუებამ კი, საფუძველი დაუდო ქრისტიანობის წარმოშობას. მოვლენების ასეთმა განვითარებამ, თავად ქრისტეს მიერ წინა პლანზე წამოწია მისი სიკვდილის მნიშვნელობა, რომელიც მის მოწაფეთა მხრიდან დაუკავშირდა აღდგომას. აქედან ედება საფუძველი თეოლოგიურ სწავლებას სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ. ეს კი კულმინაციას აღწევს აღდგომილი ქრისტეს მეორედ მოსვლის ესქატოლოგიურ წარმოდგენაში. ამ წარმოდგენებზე იშვება დოგმატური სწავლება, ხოლო ნათლობისა და საღვთო ევქარისტის საიდუმლოებებს არა აქვთ განახლებითი გამომხსნელი ძალა, არამედ ისინი წარმოადგენენ საჩვენებელ ნიშნებს, რომელნიც მიანიშნებენ, რომ მონათლულები და ზიარებულნი სამომავლოდ ღვთის სასუფევლის წილმქონენი იქნებიან. ამ საიდუმლოებების გამომხსნელობითი ხასიათი ჩნდება მოციქული პავლეს შემდგომი პერიოდის ეკლესიაში, როცა უკვე ეკლესიის ცხოვრებაში აღწევს ელინიზაცია. ამდენად, შვაიცერი ამბობს, რომ ქრისტიანობის ელინიზაცია მოციქულ პავლეს შემდგომ ეპოქაში ხდება.<sup>18</sup> „თანმიმდევრული ესქატოლოგია“ პატივს სცემს ახალი აღთქმის ტექსტს და ის არ იღებს გაყოფას ისტორიულ და დოგმატურ ქრისტეს შორის.

შვაიცერის 1906 წლის კრიტიკის შემდეგ, რომელშიც მან აღნიშნა სხვადასხვა ხარვეზები იმ დროს გამოყენებულ მიდგომებში, პირველი ეტაპის კვლევის ენთუზიაზმი შეამცირა. წიგნში „ისტორიული იესოს ძიება“ შვაიცერმა გადალახა განმანათლებლობის მეცნიერთა მკაცრი სკეპტიციზმი და წარმოაჩინა წინა ორასი წლის ისტორიკოსების მიერ შემოთავაზებული იესოს პორტრეტები, როგორც მათ მიერ წარმოსახული ეთიკური იდეალების პროექციები.<sup>19</sup> იესოს, როგორც უბრალო, კეთილშობილური მასწავლებლის დახასიათება წარმოშობილია განმანათლებლობის ჰუმანიზმის გავლენით და არა

<sup>18</sup> მაცუკა ნ., დოგმის წარმოშობა და არსი (თარგმნა გ. ბარნოვმა). თესალონიკი, 1969. 50-51.

<sup>19</sup> Schweitzer A., Von Reimarus zu Wrede: eine Geschichte der Leben-Jesu-Forschung (The Quest of the Historical Jesus: A Critical Study of Its Progress from Reimarus to Wrede), 1910.

ისტორიულ მტკიცებულებათა მეშვეობით. ასეთი იესო არის მეცნიერული წარმოსახვის ფიგურა, უფრო ზუსტად კი „რაციონალიზმის მიერ დაპროექტებული, ლიბერალიზმის მიერ გაცოცხლებული და თანამედროვე თეოლოგიის მიერ შემოსილი ისტორიული მოკაზმულობით“.<sup>20</sup> მან იესოს მკვლევართა ძალისხმევა შეაფასა, როგორც უმედეგო მცდელობა, ჩაენაცვლებინათ ტრადიციული რწმენის ქრისტე. ამგვარად, შვაიცერმა ისტორიული კვლევის ამ ეტაპს წერტილი დაუსვა და მიწიერი იესოს შემეცნების შესაძლებლობის ირგვლივ სკეპტიციზმი გააჩინა.

### მეორე ეტაპი: კერიგმისკენ შემობრუნება (1906-1953)

თუკი კელერის მიერ დაგმოხამ და შვაიცერის კრიტიკამ დამაბრკოლებელი გავლენა მოახდინეს ამ სფეროში ჩატარებულ კვლევებზე, XX საუკუნის პირველ ნახევარში დიალექტიკური<sup>21</sup> და ეგზისტენციალური ღვთისმეტყველების აღზევებამ, განსაკუთრებით ბულტმანისა და ბართის თეოლოგიამ მძიმე დარტყმა მიაყენა თავდაპირველი კვლევის ფორმას. ეს იყო ერთგვარი რეაქცია ბიბლიურ ტექსტთა ფორმირების შესწავლაზე, რომელმაც დააკნინა სახარებათა, როგორც ისტორიულ წყაროთა მნიშვნელობა, დააქუცმაცა მათი ტექსტები და ერთმანეთისაგან გამიჯნა ბიბლიური და ისტორიული კვლევის ტრადიციები, რამაც ისტორიული იესოს რეკონსტრუქცია შეუძლებელი გახადა.<sup>22</sup> პასუხად, ბართმა უგულვებელყო ახალი აღთქმის იესოს კრიტიკა, რადგან სახარების უწყება მოცემულია როგორც ღვთის ნების გაცხადება და მისი ლეგიტიმაციის შესახებ კითხვის დასმა აბსურდია. ადამიანი ან რწმენით პასუხობს თავისუფლების აქტში, ან უარყოფს მას. ქრისტეს გამომხსნელობითი საქმის ისტორიულ მოვლენებს არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა დოგმის წარმოშობისა

<sup>20</sup> Schweitzer, 478.

<sup>21</sup> მომდინარეობს, როგორც რეაქცია პროტესტანტულ ლიბერალიზმზე. ზოგჯერ უწოდებენ კრიზისის თეოლოგიასაც, რომლის ცენტრალურ უწყებასაც წარმოადგენს ღვთის აბსოლუტური ტრანსცენდენტურობა, მისი გამოცხადების სუვერენიტეტი იესო ქრისტეში, წმ. წერილთა ავტორიტეტი და ადამიანის სიცარიელე ღვთის წინაშე. მისი წარმომადგენლები არიან კ. ბართი, ფ. გოგარტენი, ე. თურნეისენი, ე. ბრუნერი და რ. ბულტმანი <encyclopedia.com> [5.06.2020]

<sup>22</sup> შდრ. ვარდიძე, 204.

და არსისათვის - ეს არის ეკლესიის სწავლების სიმფონია ქრისტესმიერი გამოცხადების შინაარსთან, რაც წმინდა წერილშია მოცემული. ეკლესია არის დოგმის ავთენტურობა და ისტორიის მსვლელობისას ნებისმიერ წამს ღვთის სიტყვის მიმღები და მისი განმმარტებელი ერთობა.<sup>23</sup> ქრისტესადმი რწმენა კი, გულისხმობს ამ ეკლესიისადმი, როგორც მისი განმცხადებლისადმი რწმენას.

გარდა იმისა, რომ ისტორიული იესო იყო გამოძიებისათვის მიუწვდომელი, ამასთან, ის იყო თეოლოგიურად შეუსაბამო რწმენისათვის. ბულტმანი ამტკიცებდა, რომ ახალი აღთქმის სააზროვნო სამყარო არსებითად მითოლოგიურ ხასიათს ატარებდა, რომელიც იუდეველთა აპოკალიფსისა და გნოსტიციზმისგან გამოყვანილი მითებით იყო შექმნილი, რომლებმაც წარმოადგინეს იესო, როგორც კოსმიურ ბრძოლაში ჩართული ზეციური მხსნელი. ამგვარი წარმოდგენა საჭიროებდა დემითოლოგიზებას კერიგმაზე<sup>24</sup> დაფუძნებული ინტერპრეტაციის მეშვეობით. სწორედ კერიგმის რწმენა, ახალი აღთქმის დემითოლოგიზებული ესქატოლოგია, რომლის ცენტრალური გზავნილია ჯვარი და მკვდრეთით აღდგომა, წარმოადგენს ერთადერთ აუცილებლობას ქრისტიანული რწმენისათვის (და არა რაიმე კონკრეტული ფაქტები ისტორიულ იესოსთან დაკავშირებით).<sup>25</sup> ის, რაც ღმერთმა იესო ქრისტეს მეშვეობით აღასრულა, არ არის ისტორიული ფაქტი, რომელიც შეიძლება დადასტურდეს. ობიექტურ ისტორიკოსს არ შეუძლია დაინახოს ისტორიული პიროვნება, როგორც მარადიული სიტყვა. ამის მიუხედავად, ახალი აღთქმა პარადოქსულად ამოწმებს იესო ქრისტეს, როგორც ესქატოლოგიურ მოვლენას, რომელსაც ხსნა მოაქვს ჯვრისა და აღდგომის გზავნილით. ის სარწმუნოება, რასაც პავლე მოციქული ქადაგებს, არ ეფუძნება ისტორიულ ფაქტებს, ამბობს ბულტმანი, არამედ არის პირველი ქრისტიანული ერთობის ქადაგების გადმოცემა და არა ისტორიული იესოსი.<sup>26</sup> ამგვარად, მან მინიმუმამდე დაიყვანა „ისტორიული იესოს“ მნიშვნელობა, ყურადღება გაამახვილა ადრეული ქრისტიანული

<sup>23</sup> იხ. მაცუკა, Barth, K., Die Schrift und die Kirche. Evangelischer Verlag A.G. Zollikon-Zürich, 12-16.

<sup>24</sup> ბერძ. „გამოცხადება“, „დამოწმება“ - სახარებისეული უწყების საფუძველმდებრივ არსის გავრცელება („იესო ქრისტე მოკვდა და მკვდრეთით აღდგა“), რომელსაც ეკლესია ღმრთაებრივი მისიის ძალით აცხადებს და რომელიც რწმენისადმი მოწოდებად და მოხმობად ისახება (პეტროზილო პ., ქრისტიანობის ლექსიკონი, იტალიურიდან თარგმნა მარიკა სააკაშვილმა. ს.-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011).

<sup>25</sup> Johnson R. A., Rudolf Bultmann: Interpreting Faith for the Modern Era. Minneapolis, Minnesota: Fortress Press. 91-102.

<sup>26</sup> მაცუკა, 58-59.

საზოგადოების შესწავლაზე და სახარებათა დემითოლოგიზების საშუალებით, მათი შესწავლა ისტორიის სფეროდან გადაიტანა კულტურულ ანთროპოლოგიაში. ამავდროულად, ბართის მსგავს ღვთისმეტყველებთან დიალექტიკური თეოლოგია ცენტრში აყენებს კერიგმას და ამცირებს ყოველგვარი „ისტორიული იესოს“ ღირებულებას რწმენისათვის. ბულტმანის მიერ რწმენის ასეთი ესქატოლოგიზება ბუნებრივად ბადებს კითხვას სახარებებში იესოს მიწიერი ცხოვრების შესახებ გადმოცემული ცნობების მნიშვნელობაზე მაშინ, როდესაც საკმარისი იქნებოდა მოციქულებს მხოლოდ აღდგომილი ქრისტე ეხარებინათ. კელერისა და შვაიცერის მხრიდან მძაფრად კრიტიკულმა პასუხებმა, რომელსაც ბულტმანისა და ბართის მხრიდან ისტორიული რეკონსტრუქციის პრობლემისგან გაქცევის და მისი, როგორც ზედმეტის თავიდან მოცილების მცდელობა დაემატა, აჩვენა, რომ ისტორიული იესოს პირველი კვლევის პასუხად, თეოლოგიამ სხვადასხვა ხერხებით თავი აარიდა რწმენისა და ისტორიის შეთავსების აუცილებლობის დილემას,<sup>27</sup> რომლის მცდელობამაც შემდგომში კვლევის მესამე ეტაპი წარმოშვა.

### ავთენტურობის კრიტერიუმები

ისტორიული იესოს შესახებ კვლევებმა ბუნებრივად განავითარეს კვლევის მეთოდები, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს მეტი ისტორიული სიზუსტით შეესწავლათ იესოს გამონათქვამები და საქმეები. ტრადიციულად, როდესაც ისტორიკოსები თანამედროვე ისტორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით სახარებებს კითხულობენ, ისინი იქ აღწერილ ისტორიებსა და გამონათქვამებს ორ წყებად ჰყოფენ: ერთში აქცევენ ისტორიულად ავთენტურ მასალას, რომელსაც ასაბუთებენ, რომ რომ ისინი იესომ ნამდვილად მოიმოქმედა ან განაცხადა, ხოლო მეორე წყებაში ათავსებენ ისტორიულად საეჭვო პასაჟებს, რომლებსაც შესაძლოა იესოს მიმდევრები ქმნიდნენ, ან შელამაზებული ფორმით გადმოსცემდნენ.<sup>28</sup> ჯონ მეიერის აზრით, მეთოდურმა კვლევამ

<sup>27</sup> რატცინგერი ი., შესავალი ქრისტიანობაში, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბილისი 2010, 239.

<sup>28</sup> Porter S. E., Criteria for Authenticity in Historical-Jesus Research. Stanley, 2004, 100-120.

შესაძლოა აღიარება ჰპოვოს კათოლიკე, პროტესტანტ, ებრაელ და აგნოსტიკოს მკვლევარებს შორის და შეათანხმოს ისინი იესო ნაზარეტელის ვინაობასთან დაკავშირებით.<sup>29</sup> იმის გადასაწყვეტად, თუ რა მომდინარეობს უშუალოდ იესოსგან, იგი გვთავაზობს პირველად კრიტერიუმებს.

ე.წ. დაბრკოლების კრიტერიუმი, წყაროთა ავთენტურობის დასადგენად, ისტორიკოსებისთვის ერთ-ერთ ფავორიტ იარაღად იქცა. იგი მეიერმა 1991 წელს მის წიგნში „მარგინალი ებრაელი“ პირველად გამოიყენა, როგორც ფრაზა.<sup>30</sup> ეს არის კრიტიკული ანალიზის ფორმა, როდესაც ტექსტის ავტორი ექცევა ერთგვარ დამაბნეველ გარემოში, რადგან აღწერილი სიუჟეტის გაგება სირთულეებთან არის დაკავშირებული და არ წარმოადგენს ავტორის მიერ დავარცხნილ, ინტერპრეტირებულ ვერსიას. მიზეზი, რის გამოც ასეთი ისტორიები მეტ სანდლობას იწვევს, არის ის, რომ მათი ამგვარი საჩოთირო შინაარსი ადრეულ ეკლესიას სულ ცოტა, არაკომფორტულ ვითარებაში ამყოფებდა. როდესაც ადამიანები თხზავენ ისტორიებს, ისინი აზვიადებენ და კაზმავენ მათ მეტი მიმზიდველობისთვის; არ არსებობს ტენდენცია, რომელიც ავითარებს ფაქტების ისეთ აღწერილობას, რომელიც ავტორს, ან მთავარ გმირს წარმოაჩენს გაუგებარ, არანორმალურ ფიგურად მათსავე სიტყვასა თუ ქმედებაში. ყალბი მოწმე თავისი მოქმედების მოტივებში და თავისი სიყალბის სახეობაში ამჟღავნებს როგორც საკუთარ თავს, ისე მათ, რომელთა მტყუებასაც ცდილობდა. შესაბამისად, მეტად სავარაუდოა, იესოს მიმდევრებს არ შეექმნათ ისეთი ფიგურა, რომელიც მათ უხერხულობას შეუქმნიდა.<sup>31</sup>

„ორმაგი სხვაობის კრიტერიუმი“ ერნსტ კეზემანმა 1953 წელს წამოაყენა, რომელშიც ნათქვამია, რომ თუ იესოსადმი მიკუთვნებული ფრაზა განსხვავდება ებრაული ტრადიციისგან და აგრეთვე გამოარჩევს მას პირველი საკრებულოებიდან, ის მეტად უნდა ავლენდეს ავთენტურობას. კეზემანი წერს: „მხოლოდ ერთ შემთხვევაში ვდგავართ

<sup>29</sup> Meier J. P., *A Marginal Jew: Rethinking the Historical Jesus*, v. 1, *The Roots of the Problem and the Person*, Anchor Yale Bible Reference Library, 1991.

<sup>30</sup> Porter, 106-7.

<sup>31</sup> საილუსტრაციოდ, იესოს მიერ ბრმა ადამიანის განკურნების ეპიზოდი (მარკ. 22, 25). ბიბლიის მკვლევარ ისტორიკოსთა ძირითადი ნაწილი თანხმდება, რომ ეს ისტორია არის ავთენტური. აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, განკურნების ორი ფაზის საჭიროების შესახებ, როცა პირველი ნაწილი (მუხ. 23) მკითხველის მიერ შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც განკურნების წარუმატებელი მცდელობა. ასევე მარკ. 10, 18, როდესაც იესო ერთგვარად უარყოფს მის მოხსენიებას, როგორც „კეთილი“.

მეტ-ნაკლებად უსაფრთხო სამირკველზე: როდესაც არ არსებობს არც იუდაიზმის ტრადიციისგან წარმოშობის საფუძველი და არც ადრეულ ქრისტიანობას შეიძლება მიეწერებოდეს. ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იუდეოქრისტიანობამ შეამსუბუქა, ან შეცვალა მიღებული თავისი ტრადიცია.“<sup>32</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრიტერიუმი მიუთითებს იმაზე, რომ იესოს შესახებ ტრადიციები გამომდინარეობს მხოლოდ სამი წყაროდან: ადრეული იუდაიზმი, ადრეული ქრისტიანული საკრებულოს მიერ მისი განახლება (რევიზია) და იესოს მსახურების ისტორიული გადმოცემები. თუ სახარებისეული ზოგიერთი ტრადიცია არ შეიძლება ადეკვატურად აიხსნას არც ექსტრაპოლაციით და არც რევიზიონიზმით, მაშინ აქ აუცილებლად უნდა იყოს ისტორიული იესოს კვალი.

„მრავალჯერადი დამოწმების კრიტერიუმი“ მიმართულია იესოს საქმეებზე ან გამონათქვამებზე, რომლებიც დამოუკიდებელ მოწმეთა ავტორობით დასტურდება ერთზე მეტ ლიტერატურულ წყაროებში. მაგალითად, სინოპტიკური სახარებები: მათე და ლუკა, სავარაუდოდ დამოკიდებულია მარკოზზე, თავის მხრივ მოციქულთა საქმეები და პავლე მოციქულის ეპისტოლეები წარმოადგენს სახარებისეული უწყების გაგრძელებასა და განვრცობას, რაც მათი თეოლოგიური კონტექსტის თანხვედრისა და შინაგანი მდგრადობის ცხადი გამოხატულებაა. პრაქტიკულად, მრავალჯერადი დამოწმების კრიტერიუმს აკმაყოფილებს ისტორიული, თეოლოგიური და ჰერმენევტიკული განზომილებების თანხვედრა. ამას აუცილებლად თან ერთვის არაქრისტიან ავტორთა ცნობები და წყაროები.<sup>33</sup> ამ კრიტერიუმის ძალა იზრდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული თემა ასევე გვხვდება სხვადასხვა ლიტერატურულ ფორმებში, იგავების, პაექრობების, მითიურ თხრობათა, თუ აფორიზმების სახით (მაგ. „ებრაული სახარება“).<sup>34</sup> წყაროების ასეთი თანხვედრის შედეგად, მათი დამოუკიდებლობის გათვალისწინებით, რთული ხდება იმ აზრის შენარჩუნება, რომ ეკლესიის გამოგონებასთან გვაქვს საქმე.

„თანმიმდევრულობის (შესაბამისობის) კრიტერიუმი“ გულისხმობს სავარაუდო ფაქტების ერთმანეთთან თავსებად და მათ ყოვლისმომცველ კავშირს. ამისათვის ისინი

<sup>32</sup> Käsemann E., Essays on New Testament Themes, 37; გამოქვეყნებულია წიგნში: “Defending the criterion of dissimilarity”, Widowfield T., 2014.

<sup>33</sup> მაგ. ფლავიუსი, ტაციტუსი, სვეტონიუსი და ა.შ.

<sup>34</sup> Murphy C. M., The Historical Jesus For Dummies, For Dummies, 2007, 14, 61-77.

უნდა იყოს ერთმანეთთან შესატყვის და მოწესრიგებულ ფორმაში, როგორც ინტეგრირებული მთლიანობა. კრიტერიუმი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა მასალები გამოვლენილია, როგორც ავთენტური, ანუ ნათქვამი ან ქმედება, რომელიც იესოს მიეწერება, მაშინ შეიძლება მივიღოთ მეტად სარწმუნოდ, თუ იგი შეესაბამება სხვა გამონათქვამებსა და მოქმედებებს, რომლებიც უკვე დადგენილია, როგორც ავთენტური. იმის მიუხედავად, რომ კრიტერიუმი არ გამოიყენება სხვა წყაროთაგან დამოუკიდებლად, მას შეუძლია გააფართოვოს ცნობა იმის შესახებ, რასაც მეცნიერები თვლიან რომ თქვა და მოიმოქმედა იესომ.<sup>35</sup>

„უარყოფისა და აღსრულების კრიტერიუმი“ შემუშავდა 1985 წელს.<sup>36</sup> კრიტერიუმი პირდაპირ არ მიუთითებს იესოს ნათქვამისა თუ ქმედების უტყუარობაზე, არამედ ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ იესო უარყოფილ იქნა ებრაელების მიერ და რომაელებმა სასჯელი სისრულეში მოიყვანეს. კითხვა ისმის იმის შესახებ, თუ რომელი სიტყვები და აღსრულებული საქმეები გამოიწვევდა იმ გარემოში ასეთ ანგარიშსწორებას.<sup>37</sup> ჯონ მეიერი განმარტავს, რომ თუკი იესო არ დაუპირისპირდებოდა და არ გამოიწვევდა იმ დროის ავტორიტეტებს, ის არ იქნებოდა ჯვარცმული. ამრიგად, სახარებებში გადმოცემული იესოს ებრაელ ავტორიტეტებთან ურთიერთობის თავისებურებები, რამაც მისი სიკვდილით დასჯა გამოიწვია, შეესაბამება იუდეველურ კანონმდებლობას და შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს თხრობა დამაჯერებელია.

## მესამე ეტაპი - კვლევის განახლება (1953–1985)

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტოლოგიის ისტორიის რეკონსტრუქციაში გადატანამ, უფრო ზუსტად - მასზე დაყვანამ, შემდეგ კი ისტორიის, როგორც რწმენისათვის ზედმეტის მოცილების მცდელობამ, კვლევის ახალი ეტაპი წარმოშვა, რომელიც დაიწყო 1953 წელს, ბულტმანის სტუდენტებს შორის. ისინი ხედავდნენ ისტორიულ იესოსთან

<sup>35</sup> Ehrman D. B., Jesus: Apocalyptic Prophet of the New Millennium, 1999, 90.

<sup>36</sup> Porter E., Criteria for Authenticity in Historical-Jesus Research by Stanley, Bloomsbury 100–120.

<sup>37</sup> Meier J. P., Criteria: How do we decide what comes from Jesus? in The Historical Jesus in Recent Research by James D. G. Dunn and Scot McKnight, Eisenbrauns 2006, 126-142.



უშუალო კავშირის გარეშე ქრისტიანული სწავლების საკუთარი წყაროსგან გაუცხოებისა და კვლავ მითოლოგიზების საშიშროებას და ამასთან, ქრისტიანობის უკიდურეს პოზიტივიზმში გადაყვანის შეუძლებლობას. კვლევის წამოწყება უკავშირდება ერნსტ კეზემანის (1906-1998) სახელს, რომელმაც გოტინგენის ახალგაზრდა სტუდენტებს თავისი მოსაზრება გაუზიარა. მან დაადასტურა ბულტმანის დასკვნა, ისტორიული იესოს ძიების, როგორც რწმენისათვის არააუცილებლის შესახებ. თუმცა, ამავე დროს, იგი ამტკიცებდა ურთიერთობის უწყვეტობის ლეგიტიმურობას ისტორიულ იესოსა და კერიგმის მოცემულ სწავლებას შორის.<sup>38</sup> მან წამოაყენა თეზისი, რომლის თანახმადაც, როგორც რწმენის, ისე კერიგმული ქრისტე თანაბარი მნიშვნელობით ყოფილიყო მიწოდებული როგორც მეცნიერებისთვის, ისე მორწმუნეებისთვის და არც ერთი პერსპექტივა არ უნდა იქნას განხილული, როგორც რაიმეთი უპირატესი, ან ნაკლები მეორეზე. ეს იყო კერიგმასა და ისტორიას შორის დაპირისპირების გადალახვისა და მათი უწყვეტობის ჩვენების მცდელობა და იმის ნათელი ანალიზი, რომ ისტორიულ იესოსა და თეოლოგიურ იესოს შორის დაპირისპირების წარმოქმნა ძალზე რადიკალურია, ვინაიდან ახალი აღთქმის წყაროები არ იძლევა ამგვარი სკეპტიციზმის საფუძველს. ამგვარად ახალი, კვლევის მესამე ეტაპი დაიწყო.

კეზემანმა შეარჩია იესოს კონკრეტული გამონათქვამები, რომლებიც მისი კვლევის თანახმად, ეჭვგარეშე ავთენტური იყო და დასვა კითხვა, რა შთაბეჭდილებას ტოვებდნენ ისინი იესოს გამოცხადებისა და ხასიათის შესახებ. პასუხს აკადემიური საზოგადოებიდან, არ დაუყოვნებია. 1956 წელს ბორნკამმა გამოაქვეყნა „იესო ნაზარეველი“<sup>39</sup>, რომელიც ახალ მკვლევართათვის დამახასიათებელი ნიშნებით იყო მოცემული. მისი სტილი არ წარმოადგენდა იესოს ჩვეულ ბიოგრაფიას, არამედ ამტკიცებდა, რომ მიწიერი ქრისტეს მიერ სახარებათა მეშვეობით გადმოცემული გზავნილის ნამდვილობა წარმოადგენდა გამოხატულებას, რომელიც სარწმუნოა როგორც სამეცნიერო კვლევებისთვის, ისე საჯარო გამოყენებაში. მან აჩვენა უფრო მჭიდრო ურთიერთობა იესოსა და ადრეული ეკლესიის თეოლოგიას შორის. ბორნკამმა გამოხატა ისტორიული იესოს კვლევის ღრმა სირთულეები და წარმოადგინა როგორც საღვთისმეტყველო სფეროში გაჩენილი შეკითხვები და აღმოჩენები, ასევე იესოს შესახებ

<sup>38</sup> Käsemann E., The Problem of the Historical Jesus, in Essays, 14–47.

<sup>39</sup> Bornkamm G., Jesus of Nazareth (Jesus von Nazareth), 1922, 9–11.

ტრადიციის გაგების შესაძლებლობა, რომელიც არ კმაყოფილდება რედაქტირებებით ან წარმოდგენილი რომანტიკული პორტრეტებით.<sup>40</sup> აგრეთვე გაჩნდა რედაქციის კრიტიკა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ბიბლიურ ტექსტთა ავტორების თეოლოგიური და ლიტერატურული ტენდენციების აღმოჩენა (ტექსტობრივი შრეები, ლიტერატურული ფორმები და მათი თეოლოგიური საზრისი). ამ მეთოდს მალევე შეუერთდნენ სხვა ავტორებიც, რომელთა კვლევებიც არაერთ ნაშრომში აისახა.<sup>41</sup> მათ შორის ჯეიმს რობინსონი (1924) მიიჩნევდა, რომ ახალი კვლევა ფოკუსირებული უნდა იყოს იესოს გზავნილზე და მომდევნო ქრისტიანი ავტორების თეოლოგიურ ჩანაფიქრზე, რომლებმაც ლიტერატურულად დაამუშავეს მისი სიტყვები. მან ასევე აღნიშნა, რომ ადრეული ქრისტიანული კერიგმული გამომსახველობა საფუძვლიანი უნდა ყოფილიყო გარკვეული ხასიათის ავთენტური გამოცდილებებით და ამდენად მართებულია ისტორიული იესოს შესწავლა.<sup>42</sup> რობინსონი ერთმანეთისაგან განასხვავებდა ისტორიის იესოს და ისტორიულ იესოს. პირველი იყო რეალური პიროვნება, რომელიც ოდესღაც ცხოვრობდა, ხოლო მეორე იყო პიროვნება, რომელიც ექვემდებარებოდა შემოწმებასა და დამტკიცებას. ახალი კვლევა მხოლოდ ამ უკანასკნელს ეხებოდა. სახარებაში არსებული ღვთისმეტყველების გამო, რობინსონი თვლიდა, რომ მტკიცების ტვირთი ეკუთვნოდა მას, ვინც იესოს ანიჭებდა გარკვეულ ატრიბუტს და არა მას, ვინც ამას უარყოფდა. შესაბამისად, თუკი ისტორიული იესოს ზოგიერთი მახასიათებელი ვერ იქნა დადასტურებული, ის უნდა მივიჩნიოთ, როგორც არაავთენტური. ახალ მკვლევართა ზოგადი შეთანხმების თანახმად, სახარებების, როგორც ისტორიულ წყაროთა ღირებულების შეზღუდულობა დანახული იყო, მაგრამ ახალი დისციპლინის - ისტორიული კრიტიციზმის შემცირებით ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სხვადასხვა ტექსტური ფენა, რომლებიც არსებობდა ოთხ სახარებათა საბოლოო ფორმაში, შეიძლებოდა განსაზღვრულიყვნენ, როგორც ორიგინალ წყაროთა ვერსიები.

აღსანიშნავია, რომ მესამე ეტაპის კვლევის მთავარი ნაკლი იყო ძირითადად გერმანული ეგზისტენციალური ფილოსოფიის გამოყენება, რომელიც იესოს წარმოჩენდა, როგორც რადიკალურად განშორებულს მისი იუდაური კულტურისგან.

---

<sup>40</sup> Evanston H. & R. Jesus of Nazareth (trans from: Jesus von Nazareth). New York, 1956, 9-11.

<sup>41</sup> Bornkamm G., Jesus of Nazareth, 1960; Jeremias J., Jesus' Promise to the Nation, 1958; The Proclamation of Jesus 1971; Schillebeeckx E., Jesus: An Experiment in Christology, 1979.

<sup>42</sup> Robinson J. M., A New Quest of the Historical Jesus, 1959. ასევე იხ. The Gospel of Jesus, 2006.

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მიერ განხორციელებულ საშინელ დანაშაულთა გამო, ეს ხშირად აღიქმებოდა ანტისემიტიზმის გავლენად და ამგვარად აბრკოლებდა ახალი კვლევის წარმატებას.

## ახალი კვლევა

1950-იანი წლების საწყისი ინტერესის აყვავების შემდეგ, ახალი კვლევის შემდგომი სამეცნიერო მუშაობა შეჩერდა. უკვე 1980-იანი წლებისთვის, ეგზისტენციალისტური ფილოსოფიისა და კერიგმული თეოლოგიისადმი ინტერესის მოშლამ მრავალ მეცნიერში მესამე კვლევის გაგრძელების ენთუზიაზმი აღძრა.<sup>43</sup> ახალი კვლევის ინტერესი მიმართული იყო სახარებებში მოცემული იესოს საქმეებისა და გამონათქვამების ლიტერატურული ავთენტურობის დადგენისაკენ. ამის მისაღწევად განვითარდა კვლევის ახლებური მეთოდი „ავთენტურობის კრიტერიუმების“ მეშვეობით (რომლებიც ზემოთ ვახსენეთ), რომლებსაც ითვალისწინებს ისტორიული იესოს კვლევის განახლებული სამუშაოები. მესამე ეტაპის კვლევამ აჩვენა, რომ საჭირო გახდა „ქრისტეს იუდეველობის განახლება“ მის ორიგინალურ, კულტურულ ფესვებში, რაც გულისხმობდა ნათქვამის იმ მნიშვნელობის გაგებას, რომელიც მისი პირდაპირი აუდიტორიისთვის (ძირითადად, ებრაული თემი) იყო გამიზნული. კვლევის აღორძინებამ ერთ-ერთ შედეგად მოიტანა როგორც სამეცნიერო, ისე არამეცნიერულ კვლევათა გადამეტება, აღწერილობათა სიმრავლე ისტორიული და თანამედროვე, მრავალი „იესოს“ შესახებ, რომლებსაც არ გააჩნიათ საერთო მეთოდოლოგია ან მიმსგავსებული შედეგები. ისინი განვითარდა საერთაშორისო მრავალფეროვნებაში, განსხვავებულ რასებს, რელიგიებს, სექსუალურ ორიენტაციებსა და კულტურათა შორის.<sup>44</sup> 2002 წლის დასაწყისში ბაასლენდმა გამოიტანა დაკვვნა, რომ მესამე ეტაპი ჩიხში შევიდა და საჭირო გახდა ახალი მიდგომა. მისი შემოთავაზება მდგომარეობდა ახალი (მეოთხე) კვლევის წამოწყებაში, რომელიც მიმართული იქნებოდა იესოს განზრახვათა

<sup>43</sup> იხ. Neill S., Wright T., *The interpretation of the New Testament 1861-1986*, Oxford 1988. 379–403.

<sup>44</sup> მაგ. Brinkman, *Non-Western Jesus*; Corley, *Women and the Historical Jesus*; Prothero, *American Jesus*.

განხილვაში.<sup>45</sup> 1778 წელს, რაიმარუსმა თქვა, რომ ისტორიული იესოს აღმოჩენა შესაძლებელი იქნებოდა მის განზრახვათა გამოკვლევით. ამგვარად, ორსაუკუნე ნახევარში სრული წრე მივიღეთ.

ახალი კვლევის ღირებულებას წარმოადგენს არა იმდენად ახალ მეთოდთა შემუშავება და სახარებების შესახებ ორიგინალურ იდეათა აღმოჩენა, არამედ ისტორიის ახლებური გაგება და მისი გამოყენება. <sup>46</sup> კიდევ ერთი რამ, რაც მას განასხვავებს წინამორბედებისგან, არის სრული საერთაშორისო და ეკუმენური რელიგიური კვლევა, რომელიც მას სიმდიდრეს ანიჭებს. ამასთან, აუცილებელია, რომ იესო გვესმოდეს, როგორც ებრაელი, პირველი საუკუნის პალესტინური იუდაიზმის კონტექსტში, რომელიც გვევლინება ებრაელთა წინასწარმეტყველური ტრადიციიდან.

## სიორენ კირკეგორი: რწმენისა და ისტორიის ურთიერთმიმართება

ქრისტიანული ჭეშმარიტების ისტორიულ განხილვაში, რომლის მიზანია იმის გამორკვევა, თუ რა წარმოადგენს ავთენტურ ქრისტიანულ მოძღვრებას, კირკეგორის აზრით, მიღებული მეცნიერული ცოდნა არის სავარაუდო, ან მიახლოებითი<sup>47</sup> და არავითარ შემთხვევაში სრულყოფილი, როგორც ეს ობიექტურობის ცოდნის პრეტენზიას შეესაბამება.<sup>48</sup> ამგვარ ცოდნას საუკეთესო შემთხვევაში შეუძლია მხოლოდ მიახლოება, მაგრამ ვერასოდეს მიაღწევს ჭეშმარიტ ცოდნას ემპირიული რეალობის შესახებ.<sup>49</sup> რწმენა არ გამომდინარეობს მარტივი, პირდაპირ მეცნიერული გამოკითხვისგან; პირიქით, ასეთი “ობიექტურობით” ადამიანი ზოგჯერ უსაზღვრო პირად ვნებიან ინტერესს კარგავს, რაც რწმენის მიღების პირობაა. ის, რაც გადამწყვეტია რწმენისათვის, არის ვნება

<sup>45</sup> Baasland, E., Fourth Quest? What did Jesus really want? Handbook for the Study of the Historical Jesus (HSHJ), edited by T. Holmén and S. E., 2011, 31.

<sup>46</sup> Robinson J. M., A New Quest for the historical Jesus and other Essays, Philadelphia: Fortress, 1983. 66-72.

<sup>47</sup> ე.წ. აპროქსიმაცია (ინგ. approximation).

<sup>48</sup> ლისმანი კ. პაულ, სიორენ კირკეგორი, რწმენის პარადოქსი, ისტორიის მსვლელობა და ეგზისტენციის გაჭირვებები. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011, 118.

<sup>49</sup> Thomas C. A., Kierkegaard and Approximation Knowledge, Mercer University Press, 1997, 188.

და ეს ვნება არ არის თავსებადი უდაო ფაქტებთან.<sup>50</sup> რაც უფრო ობიექტურია ჭეშმარიტების განხილვა, მით ნაკლებად ნაყოფიერია მარადიული ბედნიერებისთვის. რწმენა არის გადაწყვეტილება და ეს შეიძლება ფესვგადგმული იყოს მხოლოდ სუბიექტურობაში, მგზნებარე სუბიექტურობაში.<sup>51</sup> რელიგიური ჭეშმარიტება მხოლოდ ინდივიდს ეხება და ეს არის აღვსების პირადი საშუალება, რეალიზაციის პროცესი, სუბიექტური დინამიზმი.<sup>52</sup> ბიბლია არის წარსულიდან მთხრობელი წიგნი, ხოლო ეკლესია არსებობს აწმყოში, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, ბიბლიური ცნობა გახადოს რელევანტური დღევანდელიობისთვის. თავის მხრივ, ეკლესია უნდა იყოს სამოციქულო, იგივე, როგორც ყოველთვის და სწორედ ეს კრიტერიუმი გადასცემს მას წარსულსა და ისტორიას. თავად ეკლესია ისტორიული სიდიდე, როგორც ბიბლია, საიდანაც ის იძენს საკუთარ ავტორიტეტს და განიმარტება ამავე ეკლესიის კონტექსტში, რადგან მასში ჩამოყალიბდა და მის მიერ გადაეცემა იესოს უწყება.

ჰიპოთეზას შეუძლია გახდეს მეტად სარწმუნო, თუ ის იარსებებს მრავალი ათასი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს არ აქცევს მას მარადიულ ჭეშმარიტებად, გადამწყვეტს ვინმეს მარადიული ბედნიერებისთვის.<sup>53</sup> წლებმა შესაძლოა გახადონ ჭეშმარიტება უფრო ძველი, მაგრამ არა მარადიული. რაიმეს ხანგრძლივობა არის რაოდენობრივი (დათვლადი) და მისმა ანტიკურობამ შესაძლოა გამოიწვიოს აღფრთოვანება და გაოცება, მაგრამ დროის სიდიდე არ ხდის იდეას მეტად სარწმუნოს, ვიდრე დღევანდელი რეალობა, რომელშიც ახლა ვიმყოფებით. ლესინგი და კირკეგორი ერთხმად აცხადებენ, რომ არ არსებობს პირდაპირი კავშირი დროის მსვლელობასა და რწმენას შორის, რადგან სინამდვილეში არავითარი პირდაპირი კავშირი არ გააჩნია რწმენას (ჭეშმარიტებას) რაიმესთან. არ არსებობს ხიდი ისტორიულ, სასრულ ცოდნასა და ღმერთის არსებობასა და ბუნებას შორის. ერთადერთი, რასაც რწმენამდე მიჰყავს ადამიანი, არის *რწმენის ნახტომი*,

<sup>50</sup> ბერძ. Πάθος. კირკეგორი აბსოლუტის ამოცნობის სურვილს უწოდებს „ვნებას“ (ინგ. passion), როგორც ამაღლებულ პროცესს „ობიექტური ჭეშმარიტების“ დასაძლევად.

<sup>51</sup> Larrañeta R., Love and Truth in Soren Kirkegaard, Universidad Pontificia editorial San Esteban, 1990.

<sup>52</sup> ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ვლინდება მსგავსება სტოიკოსების „აპათიასა“ და კირკეგორის „სუბიექტურ ჭეშმარიტებას“ შორის, რომელიც წარმოადგენს სიბრძნის უმაღლეს ფორმას (Kierkegaard and the Greek World: Aristotle and other Greek authors, edited by Jon Bartley Stewart, Katalin Nun, Vol 2, 203).

<sup>53</sup> „შესაძლებელია თუ არა, ისტორიული ამოსავალი წერტილი არსებობდეს მარადიული ცნობიერებისათვის; რამდენად შეუძლია ამდაგვარს, არამარტო ისტორიულით დაინტერესდეს; შეიძლება მარადიული ნეტარების დაფუძნება ‘ისტორიულ ცოდნაზე’ ? Kierkegaard S., Abschließende unwissenschaftliche Nachschrift zu den Philosophischen Brocken, 1.

რომელსაც შეუძლია ეს უფსკრული გადალახოს (რაც ვერ გაბედა ლესინგმა). რწმენა არის სრულიად ირაციონალური გამოცდილება და, მართალია, იგი პარადოქსულია, ქრისტიანის უმაღლესი მოვალეობაა. თუ რას გულისხმობს ასეთი რწმენა, ალბათ ყველაზე კარგად, ლესინგის ვედრებაზე პასუხში ჩანს: „ძალზე ახლოს რომ იყო ნახტომის შესასრულებლად, ეს საერთოდ არაფერია, სწორედ იმიტომ, რომ ნახტომი - გადაწყვეტილების კატეგორიას განეკუთვნება“<sup>54</sup>, რომელიც მოქმედებს გაბედულად და დაუყოვნებლივ.

ისტორიულ კვლევაში კირკეგორი განასხვავებს „თანამედროვეობის“ ორ ტიპს: ერთია უშუალო, რისი შესაძლებლობაც ჰქონდათ იესოს თანამედროვეებს (მისი სიტყვებისა და საქმეების პირისპირ მოსმენისა და ხილვის) და მეორე - რომელიც მიღებული ინფორმაციის საფუძველზე არსებობს და რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნებისმიერ ისტორიულ დროში შესვლა. რწმენა სწორედ თანამედროვეობის ამ უკანასკნელ ასპექტს მიეკუთვნება.<sup>55</sup> იმის მიუხედავად, რომ ნათელია განმასხვავებელი ნიშანი უშუალო (პრივილეგირებულ) მოწაფეებსა და „მოგვიანებით მოსულებს“ შორის, რომლებმაც თვითმხილველებისაგან მიიღეს მოწმობა, ისინი აბსოლუტურად ერთსა და იმავე სიტუაციაში იმყოფებიან: ორივე მათგანი ფლობს ინფორმაციას, რომელიც თავისთავად არაფრის მომცემია, გარდა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობისა. თვითმხილველს აქვს უპირატესობა წავიდეს მასწავლებელთან და უშუალოდ მოუსმინოს, დაუსვას კითხვები, მაგრამ ეს არ აქცევს მას მოწაფედ. უფრო მეტიც, აქ არის საფრთხე ჩაეჭიდოს გარეგან გამოხატულებას შინაარსის გარეშე. მსგავსად, გვიანდელ თანამედროვეს შეუძლია მიიღოს მრავლისმომცველი ინფორმაცია, მაგრამ არა რწმენა. ცოდნა იესოს ცხოვრების შესახებ, როგორც მის თანამედროვეთა, ისე დღევანდელი ადამიანისთვის, რჩება ისტორიულ ინფორმაციად, რომელიც ორივე კატეგორიისთვის არის რწმენისკენ გადასადგმელი ნაბიჯის შესაძლებლობა, მაგრამ წინსვლის ნაბიჯი არ არის ავტომატური შედეგი თუნდაც სწორი ისტორიული ინფორმაციის მიღებისა. რწმენა არ არის ცოდნა ან იძულება. ეს არის ის, რაც საგნისგან თავისთავად იბადება. გახდეს მორწმუნე ნიშნავს გაითავისო რეალობა,

---

<sup>54</sup> Nachschrift, 91.

<sup>55</sup> Gutiérrez R., Ejercitación del Cristianismo (Practice in Christianity) Madrid: Guadarrama 1961. 73, 111, 128, 150, 152, 160, 238, 336.

რომელიც ისტორიაში ვითარდება - რწმენის ამ აქტში მარადიული და ისტორიული არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული. სწორედ აქ ჩნდება რწმენის თანდაყოლილი პარადოქსი, რომელიც ცდილობს იმის გამორკვევას თუ როგორ იკავებს ადგილს მარადისობა დროში. ამრიგად, ჭეშმარიტების გაგება არ გამომდინარეობს სუფთა აღქმისგან, სუფთა მოთხრობიდან ან ინფორმაციიდან ფაქტებზე და მოძღვრებებზე და არც ის წარმოიშობა უბრალოდ საკუთარი თავისგან; ეს არის ღმერთის საჩუქარი ადამიანისთვის, რომელიც ვნებით, ინტერესითა და არჩევანით ეხსნება მას. იმის მიუხედავად, რომ რწმენის აქტში ადამიანი სულიერ პლანზე წარმართავს საკუთარ თავს, რის გამოც ერთი შეხედვით, ისტორიული ცნობები მეორე ხარისხოვანი ხდება, ისტორია და ისტორიულობა ქრისტიანობის არსებითი ნაწილია. ისტორია ქრისტიანობაში შედის არსებითად, არა მხოლოდ ისტორიული რელიგიის დაბადების დროისა და ადგილის გარეგნული მახასიათებლებით, რომელიც გამოხატულია კულტურულად, აქვს განვითარების ფაზები და ამგვარად ხასიათდება როგორც ისტორიული, არამედ მისი შინაგანი მიზეზით - ის არის ისტორიული, რადგან შეიცავს მარადისობის რწმენას რომელშიც ღმერთი არის გამოვლენილი და აღქმული როგორც ისტორიაში არსებული. ამ მიზეზით ის არსებობს ისტორიულ მეხსიერებაში. უფრო მეტიც, ქრისტიანობაზე წვდომა ისტორიულ ხასიათს ატარებს, რადგან მან ადგილი ისტორიაში დაიმკვიდრა. ლესინგის პრობლემის გათვალისწინებით, ფილოსოფიურ ფრაგმენტებში (1844) და დასკვნით არასამეცნიერო ჩანაწერებში (1846) თუკი რაიმე ისტორიულ ძალას შესწევს მარადიული ცნობიერებისთვის მიმართულების მიცემის შემოთავაზება, დანიელი ფილოსოფოსი ავითარებს პარადოქსულ ქრისტოლოგიას, რომელიც აცხადებს, რომ ღვთაებრივი არ არის პირდაპირ შემეცნებადი: „ისტორიულ ცოდნაზე ვერ აშენდება მარადიული ნეტარება, არამედ მხოლოდ რწმენის პარადოქსზე - ხოლო ის, უფსკრულზეა აშენებული.“<sup>56</sup> შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ კირკეგორს შეეძლო მიეღო ისტორიულ-კრიტიკული მეთოდის შედეგი, რომელიც ითვალისწინებს სახარების ისტორიებზე სპეციფიკურ-კვლევით დამოკიდებულებას და ამასთან, კითხულობს სახარებებს ისე, თითქოს ბიბლიის კრიტიციზმს არ უარსებია - სახარებისეული მიწიერი იესო არამხოლოდ რწმენის ქრისტეა, არამედ მკვდრეთით აღმდგარი უფალი.

---

<sup>56</sup> ლისმანი, 115.

კირკეგორის ღვაწლი ისტორიის კონცეფციაში და მის მიმართებაში რწმენასთან, მნიშვნელოვანია საიმისოდ, რომ განსვასხვავოთ გზები, რომლებიც განიხილავენ ისტორიას და განვსაზღვროთ მისი შემეცნების დონეები. ასე რომ, ერთი მხრივ ისტორია, როგორც შემთხვევით მოვლენათა და საქმიანობათა ამსახველი მონაცემებისა და თარიღების ერთობლიობა უსარგებლოა რწმენის აქტში, თუმცა ამავდროულად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იმის გათვალისწინებით, რომ ისტორიას მიენიჭა ახალი განზომილება, რომელშიც მარადიული გახდა აწმყოში მოცემული - ღმერთი გახდა მისი ნაწილი და ამ ისტორიულ მოცემულობაში მიიღება გადაწყვეტილება, რომლითაც ადამიანი მარადიულ ბედნიერებას იმზადებს. ადამიანი მარადიულობას ეხსნება ისტორიაში და სწორედ ამას გაექცა ლესინგი. დანიელმა ფილოსოფოსმა თითქოს წინასწარ განჭვრიტა ის ნაკლი, რომელიც ისტორიული იესოს შესახებ სამეცნიერო კვლევის პროცესში იქნებოდა გაუთვალისწინებელი: სუბიექტის პიროვნული რწმენა, რომელიც უკუგდებულა მოჩვენებითი სამეცნიერო ობიექტურობით.

## ისტორიული იესოს შესახებ კვლევის შედეგები

ისტორიის მსვლელობაში ნათელი გახდა, რომ უნდა გადამოწმდეს იესოს შესახებ ტრადიციის ყოველი ინტერპრეტაცია. მათ სწორად გასაგებად, აუცილებელია მათი დაყვანა მათსავე სულიერ სამყაროზე და მათ საწყისთა კავშირებზე. ამ შესაძლებლობას ისინი თვითონვე იძლევიან, რადგან ყოველი სულიერი სამყარო წარმოადგენს მრავალგვარ კავშირს, რომელიც მორწმუნეთა საზოგადოების თითოეულ წევრში იყო დასადგურებული და ყოველი ადამიანი მას ინდივიდუალურად წარმოადგენდა და გამოხატავდა. მათ, როგორც ერთ მთლიანობად აღსაქმელად მკვლევარი წარსულის თანამედროვედ უნდა იქცეს, საკუთარი სამყაროთი დაუახლოვდეს და ამავდროულად მათი საუცხოო ზემოქმედება განიცადოს.<sup>57</sup> თუმცა, ისტორიული კვლევის ამ

---

<sup>57</sup> შდრ. ბრუნერი ა., ფილოსოფიის ძირითადი საკითხები, ისტორიული მეთოდი, 240, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბილისი 2010.



მოგზაურობაში ხშირად ავიწყდებათ, რომ ისტორიის სრული ჭეშმარიტება დოკუმენტური შემოწმების მეთოდს არანაკლებად უსხლტება, ვიდრე ყოფიერების ჭეშმარიტება ექსპერიმენტულ მეთოდს: ფიზიკაში ყოფიერება გადაფარულია მოვლენებით, ისევე, როგორც ისტორიის რეკონსტრუქცია თუმცა ხსნის, მაგრამ ხშირად ფარავს კიდევ ისტორიას. ამიტომ, თუმცაღა ის ხედავს ადამიან იესოს, არ შეუძლია აღმოაჩინოს მისი ყოფიერება, როგორც ქრისტესი, რადგან ისტორიის ამ ჭეშმარიტების მხოლოდ დოკუმენტაციის სისწორეში მოთავსება შეუძლებელია. ამგვარად, ისტორიული რეკონსტრუქციის დოკუმენტებზე ორიენტირებული მეთოდით ქრისტოლოგიის დაფუძნების მცდელობას არ შეუძლია გამოხატოს რწმენა იმაზე მეტად, ვიდრე ფიზიკას - ღმერთის აღსარება, რადგან ამ მეთოდით შეუძლებელია იმ ყველაფრის მთლიანობის მოცვა, რაც იმ დროს ხდებოდა. ხშირად, ის, რაც კვლევის ამ პროცესში ითქმის, სინამდვილეში მხოლოდ ინდივიდუალური ხედვის გამოხატულებაა და არა ისტორიული კვლევს შედეგი.<sup>58</sup> ამიტომ ერთიან გამგებ ხედვას არსებითი ამოცანა გააჩნია.

არც ერთი ცალკეული მოწმე, უჭეშმარიტესიც კი, არ არის სავსებით ობიექტური. მისი შეხედულება პიროვნებაზე, ან შემთხვევაზე, ყოველთვის ნაწილობრივ ხედვას წარმოადგენს, რომელიც მან გაუცნობიერებლად მოიპოვა პირადი განწყობიდან. ურთიერთკავშირში კი, ცალკეული მოწმობები ერთმანეთს ავრცობენ და ასწორებენ. სწორედ ეს უპირატესობა გააჩნია მკვლევარს: მას შეუძლია ისტორიას გადახედოს, როგორც მთლიანობას.

გარდა ამისა, ისტორიული კვლევის მეთოდს ის ნაკლიც გააჩნია, რომ გაურკვევლობის გაჩენის შემთხვევაში შეკითხვისა და ღრმად გაგების შესაძლებლობა ძალზე შეზღუდულია და არ შეუძლია შემდგომი განმარტებების მოცემა. ამ ნაკლს რამდენადმე ავსებს განსხვავებულ მკვლევართა შორის დიალოგი, რომლებსაც შეუძლიათ წარსულის შემეცნებაში ერთმანეთის განვრცობა, რა დროსაც უნდა მოხდეს წინამორბედ მკვლევართა მიღწეული წარმატებისა და შემეცნების გამოცდილების გათვალისწინება. ისტორიული კვლევის მთელი ხიბლი და სიღრმე სწორედ მის გაღრმავებასა და გამრავალფეროვნებაში მდგომარეობს. ასეთი წინსვლის მეშვეობით მკვლევარის წინასწარ ხედვას ჩაანაცვლებს წარსულის თავდაპირველი სამყარო და მის

---

<sup>58</sup> შდრ. რატცინგერი, 239.

ნამდვილ გაგებას შეაძლებინებს. თუმცა, აუცილებელია იმის გააზრება, რომ პრაქტიკულად არსებობს ზღვრები, რაც განპირობებულია არსებულ წყაროთა ლიმიტით და იმ ძალის შეზღუდულობით, რომელიც მათი შესწავლისთვისაა საჭირო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ისტორიული შემეცნება მაინც მიახლოებითი რჩება. შესაძლოა იგი არ იყოს ყალბი, მაგრამ არც სრულიად ადეკვატური იქნება.<sup>59</sup>

როგორც ბოლო ათწლეულების კვლევებიდან გამოირკვა, ფაქტების აღწერასა და დროისა და მიზეზთა კატეგორიების მიხედვით დალაგებაზე მეტად, ისტორია ფორმას იძენს იმ უნიკალურ და შემოქმედებით მოვლენაში, რომელსაც ქმნის სუბიექტი ინდივიდუალური ჩართულობით. ისტორიაში პოსტმოდერნიზმის გაჩენამ განაპირობა მისი რეკონსტრუქციად აღქმა, ვინაიდან შეხედულება წინ უსწრებს ისტორიულ მოთხრობას. ისტორიოგრაფია იქნებოდა მისი ინტელექტუალური კონსტრუქციის მიზანი, ვინც მას წერს. შესაბამისად, ისტორია არის დოკუმენტირებული ჰიპოთეზის შედეგი, რომელიც ცხადია, შესაძლოა დადასტურდეს, მაგრამ ექვემდებარება ავტორის მიერ შემუშავებას. თითოეული ისტორიული მოთხრობა შეიცავს მხატვრულად შეთხზულ ფრაგმენტს, რომელიც ერთგვარად ავსებს წინამორბედ მოწმეთა მიერ დატოვებულ სიცარიელეს, ფართო ისტორიული თხრობის გადმოსაცემად.<sup>60</sup> ისტორიულ იესოსა და დოგმის მიერ განსაზღვრულ ქრისტეს შორის დაპირისპირება, რომელიც რაიმარუსმა და შტრაუსმა გამოხატეს, ხოლო შვაიცერმა და ბულტმანმა კიდევ უფრო გააღრმავეს, ერთი მხრივ, არ არის აშკარა და წარმოადგენს უკიდურესობის სკალას. ხოლო მეორე მხრივ, არ არსებობს ამ ორის დაპირისპირების გონივრული საფუძველი, რადგან სახარებისეული „თეოლოგიური ბიოგრაფია“ არ ამევეებს ისტორიული წარსულის აუცილებლობას. ერნსტ ფუქსი ამ ვითარებას შემდეგნაირად წარმოაჩენს: თუკი ბულტმანის მეშვეობით ისტორიულ იესოს კერიგმის საშუალებით განვმარტავდით, დღეს ამ კერიგმას ისტორიული იესოს მეშვეობით განვმარტავთ.<sup>61</sup> თანამედროვე ადამიანის ასეთი მერყეობა იესოსა და ქრისტეს შორის, თუკი რატცინგერის მიხედვით შევაფასებთ, არ ყოფილა ამაო, რადგან მას შეუძლია სწორი გზის ჩვენება, გზისა - იმის გაგებისკენ, რომ ერთი (იესო) მეორეს (ქრისტეს) გარეშე არ არსებობს.<sup>62</sup>

<sup>59</sup> შდრ. ბრუნერი, 243.

<sup>60</sup> Marguerat D., *Jésus historique et Christ de la foi: une dichotomie pertinente?* Lausanne 2011, 42.

<sup>61</sup> Fuchs, E. *Studies of the Historical Jesus*, London 1964, 167.

<sup>62</sup> რატცინგერი, 244.

როდესაც კვლევის სამი ეტაპის შედეგად გამოირკვა, თუ რა კავშირი აქვს ქრისტიანული რწმენის იესოს ისტორიკოსების მიერ შესწავლილ ანთროპოლოგიურ იესოსთან, ქრისტიანებს გაუმართლათ: მათ არჩევანის უამრავი შესაძლებლობა აქვთ. კვლევებმა ქრისტიანებისთვის ცხადყო, რომ ისტორიული იესოს შესწავლა არ ექვემდებარება მხოლოდ ქრისტოლოგიას და მას აქვს საკუთარი ავტონომია. აქვე უნდა მოხდეს განსხვავება წმინდა ემპირიულ, სამეცნიერო კვლევასა და იმას შორის, რაც ცნობილია რწმენის მეშვეობით ახალ აღთქმასა და ქრისტოლოგიაში.<sup>63</sup> რწმენით გამოწვეული ინტერესი მიგვიძღვება მეტი გავიგოთ იესო ნაზარეტელის ადამიანური ასპექტის შესახებ, რომლებიც ღიაა ისტორიული კვლევისთვის, მაგრამ ისტორიულ ფენომენებსა და რწმენის რეალობას შორის კავშირში ყოველთვის არის დაძაბულობა: როგორ შეიძლება ისტორიული მონაცემები, აუცილებლად კონკრეტული, შეთავსებულ იქნას რწმენასთან, რომლის გაგება აშკარად სხვა განზომილებაში ხდება? ერთიან კონტექსტში დანახული აღდგომის მოვლენა განმარტავს იესოს მიწიერ ცხოვრებას, რომელიც თავის მხრივ, გასაგებს ხდის აღდგომის მისტერიას და მის შემდგომ ისტორიას.

დღევანდელი აზროვნება მეტად უახლოვდება სისავსეს, არეგულირებს რა დიალექტიკურ ურთიერთმიმართებას თეოლოგიასა და ისტორიულ ფუნქციას შორის. იესოს პიროვნების რეკონსტრუქცია თანაბრად სუბიექტურია ორივე თვალსაზრისიდან. კონკრეტული ფაქტის ისტორიული დასაბუთება დამოკიდებულია მკვლევარის პოზიციაზე, რომლითაც იგი ამ პრობლემის გადაწყვეტაშია ჩართული. ვინც აღდგომის რწმენას წინდაწინ უპირობოდ ეწინააღმდეგება და ამისთვის საღ აზრსაც მოიხმობს, მისი გააზრებისთვის ის ვერ იქნება მზად, რადგან ამ შემთხვევაში გააზრების ის კონტექსტია უარყოფილი, რომელიც ამ მოვლენას თავის მნიშვნელობას ანიჭებს. აღდგომის ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გადაწყვეტილების არეალში, ისტორიაში ღმერთის მოქმედების დაშვება შედის, რომელიც შემდგომ მისდამი მზაობაში გამოიხატება.<sup>64</sup> რწმენის ცნება გრადაციას განიცდის, რომელიც ამგვარი მზაობით იწყება (რომელიც ღმერთის ისტორიული ქმედებისთვის ღიაა) და რომელიც შემდგომ ფილოსოფიური გააზრებითა და ისტორიული მეთოდოლოგიის გამოყენებით ზემოქმედებს ამ მზაობაზე იმგვარად, რომ იგი ახალ მნიშვნელობას იძენს. ამიტომ იესო ქრისტეს შესახებ წაკითხვა

<sup>63</sup> Finding the Historical Jesus: An Interview With John P. Meier <<https://www.franciscanmedia.org>> [5.06.2020]

<sup>64</sup> იბ. ვარდიძე, 215.

რწმენის შუქზე, რასაც თან ახლავს ისტორიკოსთა მიერ შესრულებული სამუშაო, მიგვითითებს დღევანდელი კვლევისკენ. იოზეფ რატცინგერი თავის „იესო ნაზარეტელში“ ამ დაპირისპირების უმნიშვნელობას შემდეგნაირად წარმოაჩენს: „მსურდა სახარებების იესო წარმომეჩინა, როგორც ნამდვილი, „ისტორიული“ იესო, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით... ეს მაჩვენებელი გაცილებით ლოგიკური და ისტორიულად უფრო ადეკვატურია, ვიდრე ის რეკონსტრუქციები, რომლებიც წარმოდგენილ იქნა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. მე მჯერა, რომ ეს იესო - სახარების იესო - არის ისტორიულად სანდო და დამაჯერებელი გამოხატულება.“<sup>65</sup>

## დასკვნა

რწმენა არ შეიძლება ისტორიიდან გამომდინარეობდეს და ვერც მისი ნაყოფი იქნება, მაგრამ არც მის გარეშე შეიძლება არსებობდეს, რადგან თუ ქრისტოლოგიურ მტკიცებულებებს ისტორიულობასთან საერთო არაფერი აქვს, მაშინ ის მითოლოგიურ თხრობად გადაიქცევა, რომელშიც კონკრეტული ადამიანის ეგზისტენცია ვერ განხორციელდება. სწორედ ამის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული იესოს შესახებ ისტორიულ კვლევებში ქრისტიან თეოლოგთა ძალისხმევა. ამ ორ საუკუნეზე მეტი ხნის პროცესის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ თეოლოგიურ კვლევას არ შეუძლია იმუშაოს ისტორიული იესოს შესწავლის გარეშე. ისტორიული ფაქტები ახალი აღთქმის მოწმობის მნიშვნელოვანი ნაწილია და მათ გარეშე ქრისტიანული მოვლენა უკეთეს შემთხვევაში, ზოგად იდეამდე იქნებოდა დაყვანილი. იესოს ისტორია არ მტკიცდება, არამედ უნდა გადამოწმდეს. რწმენის გადამოწმების წარმატების შეფასება კი, შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ რამდენად განმარტავს იგი იესოს ისტორიის მნიშვნელობას და ბიბლიურ მოვლენათა თანმიმდევრულობასა და მისდამი რწმენას აზრობრივად წარმოაჩენს.

ისტორიის სწორი ცოდნა და მისი მეთოდოლოგია ხაზს უსვამს სუბიექტის მსოფლმხედველობის მნიშვნელობას: ის, ვინც ისტორიას წერს, აქტიურ მონაწილეობას იღებს მასში. აქედან გამომდინარე, „წმინდა ფაქტები“ არ არსებობენ. ჩვენს ხელთაა უკვე

---

<sup>65</sup> Ratzinger, J. (Pope Benedict XVI), *Jesus of Nazareth*, 2007.

გაგებული, ინტერპრეტირებული მოვლენები, რომელთა მნიშვნელობაც კონკრეტულ კონტექსტში გაიგება. საღვთო რეალობა, რომელიც ისტორიაში მოქმედებს, ვერ იქნება ობიექტური შემეცნების საგანი, რადგან თეოლოგიური მნიშვნელობის კონტექსტს ჯვარცმისა და აღდგომის ფენომენი განსაზღვრავს, რომლებიც მხოლოდ მოციქულთა მოწმობის სახითაა ჩვენს ხელთ. თანამედროვე მკვლევართა მიერ რაიმარუსიდან დღემდე, შეიქმნა იესოს უამრავი, ხშირად ურთიერთდაპირისპირებული სახეები, რომლებსაც არ შეუძლიათ გამოხატონ მისი მთლიანობა: თითოეულ მათგანს აქვს მხოლოდ მისი პიროვნების ნაწილი. იესოს ცხოვრებისა და მსახურების შესწავლა ფოკუსირებული უნდა იყოს ორ ფუნდამენტურ რეალობაზე: ერთი მხრივ, მისი სიტყვები და საქმეები დედამიწაზე და მეორე მხრივ, მისი ტრანსცენდენტური ხვედრი - ჯვარზე სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა. ორივე რეალობა ერთობლივად უწყობს ხელს იესო ქრისტეს გაგებას. თვითონ ეს ფორმულირება „იესო ქრისტე“ ხომ უკვე მიანიშნებს იესოს ისტორიულ პიროვნებასთან რწმენის კავშირზე, ვინაიდან სიტყვა ქრისტე ყოველთვის იმას აღნიშნავდა, თუ რას წარმადგენს იესო. პირველყოფილი ეკლესიისათვის ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი იყო ერთი და იგივე იესო ნაზარეველი. აუცილებელია განვასხვავოთ ეს ორი განზომილება მის პიროვნებაში, მაგრამ მათი განცალკევება მიუღებელია. სუპერნატურალიზმის უარყოფა ისტორიაში სწირავს მცდელობას, რომელიც შესაძლებელს გახდის სახარებების სათანადო გაგებას. ღვთის ძის მიერ მოტანილი ხსნის შესახებ თხრობის აუცილებელი ასპექტის აღმოფხვრის შედეგად, მეცნიერთა ახალი თაობები იძულებულნი იქნებიან ეძებონ იესოსთან წვდომის სხვა საშუალებები, რომლებიც საბოლოო ჯამში, რაიმარუსის მარშრუტით იმოგზაურებენ. ისტორიულ-კრიტიკულმა კვლევამ ამაღლებული ქრისტესა და მიწიერი იესოს იდენტობის ჩვენება უნდა მოახერხოს იესოს ადამიანური ბუნების მნიშვნელობაზე ხაზგასმით გამომხსნის საქმეში და ამ ხსნის კავშირით ისტორიულ განზომილებასთან. სახარებებში გადმოცემული ისტორია გაჟღერებულია საზოგადოების რწმენის პასუხით. ეს რწმენა არ არის რეკონსტრუქცია, არამედ აწმყო, არა თეორია, არამედ ცოცხალი ეგზისტენცია, რომელიც თავისი არსით მხოლოდ იმის გაგებისკენ მიისწრაფვის, თუ ვინ და რა იყო იესო.<sup>66</sup> შესაბამისად, არსებობს ისტორიისა და ინტერპრეტაციის უწყვეტი

---

<sup>66</sup> შდრ. რატცინგერი, 244.

შერწყმა, რაც თავისთავად მიუწვდომელია თანამედროვე ისტორიოგრაფიის კანონებისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Calvin J., A harmony of the Gospels Matthew, Mark and Luke. Grand Rapids, Eerdmans Publishing Compa, 1994
2. ვარდიძე ვ., ფუნდამენტური თეოლოგია (ნაწილი II); სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი 2014
3. Reimarus Hermann S., et al. Fragments From Reimarus: Consisting of Brief Critical Remarks On the Object of Jesus and His Disciples As Seen in the New Testament. London: Williams and Norgate, 1879
4. Wright N.T., Bird M. F., The New Testament in its World. 2019, 2
5. ბიბლია, გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებების საქართველოს წარმომადგენლობა, თბილისი 2013
6. Van Voorst, Robert E., Jesus outside the New Testament: an introduction to the ancient evidence, Cambridge 2000
7. Lessing G. E., Über den Beweis des Geistes und der Kraft, (1777). Stuttgart: Reclam, 1969
8. Lessing G. E., On the proof of the spirit and of power (Über den Beweis des Geistes und der Kraft 1777), in Philosophical and Theological Writings, translated and edited by H. B. Nisbet, Cambridge University, Press 2005
9. Gnllka J., Jesus von Nazaret. Botschaft und Geschichte (Freiburg im. Br.: Herder, 1990); Jesus of Nazaret: Message and history, Hendrickson, 1997)
10. Kähler, M., The So-Called Historical Jesus and the Historic Biblical Christ. Translated by Carl E. Braaten. Philadelphia: Fortress, 1964
11. მაცუკა ნ., დოგმის წარმოშობა და არსი (ბერძნულიდან თარგმნა გ. ბარნოვმა) თესალონიკი, 1969
12. Schweitzer A., The Quest of the Historical Jesus A Critical Study of its Progress from Reimarus to Wrede. Translated by W. Montgomery, First English Edition, Great Britain 1910
13. Johnson R. A., Rudolf Bultmann: Interpreting Faith for the Modern Era. Minneapolis, Minnesota: Fortress Press 1991
14. რატცინგერი ი., შესავალი ქრისტიანობაში (გერმ. Joseph Ratzinger, Einführung in das Christentum); თარგმნა ვ. ვარდიძემ; სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2010
15. Porter, E., Criteria for Authenticity in Historical-Jesus Research, by Stanley, Bloomsbury, 2004
16. Meier, John P., A Marginal Jew: Rethinking the Historical Jesus, Anchor Yale Bible Reference Library, 1991

17. Käsemann E., *Essays on New Testament Themes: Tim Widowfield, "Defending the criterion of dissimilarity*, 2014
18. Murphy, Catherine M., *The Historical Jesus For Dummies, For Dummies*, 2007.
19. Käsemann, E., *The Problem of the Historical Jesus*, in *Essays on New Testament Themes* London 1964
20. Bornkamm G., *Jesus of Nazareth (Jesus von Nazareth)*, 1922
21. Baasland, E., *Fourth Quest? What did Jesus really want? Handbook for the Study of the Historical Jesus (HSHJ)*, edited by T. Holmén and S. E., 2011
22. Robinson, J.M., *A New Quest for the historical Jesus and other Essays*, Philadelphia: Fortress, 1983
23. Marguerat, D., *Jésus historique et Christ de la foi: une dichotomie pertinente?* Lausanne 2011
24. Fuchs, E., *Studies of the Historical Jesus*, London 1964
25. ლისმანი, კონრად პაულ; სიორენ კირკეგორი, თარგმნა ვ. რცხილაძემ; სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბილისი 2011
26. Anderson Thomas C., *Kierkegaard and Approximation Knowledge*, Mercer University Press, 1997
27. Larrañeta R., *Love and Truth in Soren Kirkegaard*, Universidad Pontificia editorial San Esteban, 1990
28. Kierkegaard S., *Abschließende unwissenschaftliche Nachschrift zu den Philosophischen Brocken*, Denmark 1846
29. Rivero G., *Ejercitación del Cristianismo (Practice in Christianity)*, Madrid: Guadarrama, 1961
30. Kierkegaard S., *Om Begrebet Ironi med stadigt Hensyn til Socrates (On the Concept of Irony with Continual Reference to Socrates)*, 1841
31. ბრუნერი ა., *ფილოსოფიის ძირითადი საკითხები; სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბილისი, 2010*
32. Ratzinger J. (Pope Benedict XVI), *Jesus of Nazareth*, 2007
33. Paynter Stephen E., *The Quest(s) for the Historical Jesus: A Review from an Evangelical Perspective*, 2015
34. Dunn James D. G., McKnight S., *The Historical Jesus in Recent Research*, Eisenbrauns Winona Lake, Indiana 2005
35. Amengual G. *Usefulness and uselessness of history: History, memory and the contemporaneity of faith according to S. Kierkegaard*, Universitat de les Illes Balears 2012
36. Green Joel B., Scot McKnight and Howard Marshall, *Historical Jesus, Quest of, Dictionary of Jesus and the Gospels*, 1992
37. Farnell David F., *Three Searches for the "Historical Jesus" but no Biblical Christ – The rise of the Searches (part 1)*, 2012



38. Meier P. John, The Historical Jesus: Rethink some concepts, The Catholic University of America, 1990
39. Bittle M., Who Do They Say He Is? A Consideration of the Quest for the Historical Jesus, 2012
40. Stein Robert H., The 'Criteria' for Authenticity, R.T. France & David Wenham, eds., Gospel Perspectives, Vol. 1, Studies of History and Tradition in the Four Gospels. Sheffield: JSOT Press, 1980
41. Allison Dale C., The historical Christ and the theological Jesus, Grand Rapids, Michigan, Cambridge, U.K. 2009
42. Habermas Gary R., Ancient Evidence for the life of Christ, College Press, 1996

### რესურსები ინტერნეტში

43. The Historical Jesus: Then and Now <<https://reflections.yale.edu>> [5.06.2020]
44. Finding the Historical Jesus: An Interview With John P. Meier <<https://www.franciscanmedia.org>> [5.06.2020]